

კითხვა-პასუხი:

1. საწარმოს ლიკვიდაციისას როდის იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი?

საწარმოს პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომლის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

2. რის საფუძველზე ხდება ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმება?

ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმებისას შესაძლოა სახეზე გვექნოდეს:

ა) ინდივიდუალური მეწარმის პირადი განცხადება.

ბ) ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, ქმედუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობა.

სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება.

3. როგორ ხდება საწარმოთა შერწყმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში?

თუ პარტნიორთა მიერ დადებულ წესდებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის ან პარტნიორთა ხმების 75%.

4. საწარმოს გაყოფის შედეგად, როგორ, რა ფორმით აგრძელებენ საწარმოები საქმიანობას?

საწარმო შესაძლოა გაიყოს ორ ან მეტ საწარმოდ, შესაბამისად მათ უფლება ეძლევათ საქმიანობა გააგრძელონ დამოუკიდებლად, რა თქმა უნდა საკუთარი სამართლებრივი ფორმით.

5. როგორ ხდება სუბიექტის რეორგანიზაციის შესახებ მოთხოვნის დაყენება?

მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მიეთითოს რეორგანიზაციის სახე და შესაბამისად რეორგანიზაციის შედეგების შესახებ ინფორმაცია.

6. რამდენია ხანდაზამულობის ვადა და როგორ ხდება მისი ათვლა?

ხანდაზმულობის ზოგადი ვადა შეადგენს ხუთ წელს, რომელიც აითვლება მათი წარმოშობის მომენტიდან.

7. რა საბუთები არის საჭირო მაშინ როცა უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის დაარსება ხდება საქართველოში?

მოცემულ შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს აუცილებლად უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

1) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ.

2) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული, საწარმოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

3) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამიად დამოწმებული, საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი მონაცემები საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

8. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, რა ხდება პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში?

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში, ყოველ მის მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი. აღნიშნული აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების წესდებაში, ან მასზე აუცილებლად თანახმა უნდა იყოს ყველა პარტნიორი.

9. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს წარმომადგენლად არჩეული პირი კოოპერატივში?

კოოპერატივში წარმომადგენლად შესაძლოა არჩეულ იქნეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც კოოპერატივის წევრია, მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება იყოს არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში.

10. ვის მიერ და რამდენჯერ ხდება საერთო კრების მოწვევა კოოპერატივში?

საერთო კრებას კოოპერატივში იწვევს გამგეობა. წესდებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, იგი მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც.